საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 06-01/93

ქ. ბათუმი 06 სექტემბერი, 2021 წ.

„ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის განხილვის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 26 ივლისის №68 დადგენილებაში ცვლილების და დამატების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის განხილვის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 26 ივლისის №68 დადგენილებაში, კერძოდ, დადგენილების N1 დანართში (წესი), შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები და დამატება:

ა) წესის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. საკონკურსო მასალები კონკურსის შედეგების ძალაში შესვლის შემდეგ (აკადემიური საბჭოს დადგენილებით დამტკიცების შემთხვევაში) შესანახად გადაეცემა უნივერსიტეტის საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარიას). კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმების შემთხვევაში საკონკურსო დოკუმენტაციიდან ნაწილი (უნივერსიტეტის საქმისწარმოების ინსტრუქციით გათვალისწინებული დოკუმენტები) ინახება დასაქმებულის პირად საქმეში, ხოლო სხვა დოკუმენტაცია დასაქმებულის მიერ შესაძლებელია გატანილი იქნეს 1 თვის შემდეგ.“;

ბ) წესის მე-8 მუხლს დაემატოს მე-5 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,5. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით ობიექტური გარემოების (ქვეყანაში/რეგიონში შექმნილი ეპიდვითარება ან/და სხვა) გათვალისწინებით შესაძლებელია დასაშვები გახდეს:

ა) **საკონკურსო განცხადებისა და დოკუმენტაციის** მხოლოდ ელექტრონულად წარმოდგენა, იმ პირობით, რომ კონკურსში გამარჯვებულმა კონკურსანტმა მატერიალური

სახით უნდა წარმოადგინოს არაუგვიანეს შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისთანავე (ასეთ შემთხვევაში საპროცედურო კომისიის მიერ განმცხადებელზე ამ წესის მე-4 მუხლის მე-10 პუნქტში აღნიშნული ცნობა გაიცემა ელექტრონულად, კონკურსანტის იმავე ელექტრონულ ფოსტაზე);

ბ) კონკურსანტის მიერ განცხადების/**საჩივრის** საპროცედურო კომისიაში ელექტრონულად წარდგენა (ასეთ შემთხვევაში საპროცედურო კომისიის მიერ განმცხადებელზე/მომჩივანზე ამ წესის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტში აღნიშნული ცნობა გაიცემა ელექტრონულად, კონკურსანტის იმავე ელექტრონულ ფოსტაზე);

გ) **საკონკურსო კომისიამ** კონკურსანტთა განცხადება და საკონკურსო დოკუმენტაცია საპროცედურო კომისიისგან მიიღოს მხოლოდ ელექტრონული სახით (შესაბამის ელექტრონულ ფოსტაზე წარმოდგენილი), ხოლო მატერიალური სახით წარმოდგენილი მასალა - მხოლოდ ამის საჭიროების შემთხვევაში;

დ) საკონკურსო კომისიამ დაადგინოს მ**უშაობის** ან/და **კონკურსანტებთან გასაუბრების** დისტანციური ფორმატი (ZOOM პლატფორმის მეშვეობით);

ე) **სააპელაციო კომისიამ** დაადგინოს მუშაობის დისტანციური ფორმატი (ZOOM პლატფორმის მეშვეობით), მათ შორის განმარტების მისაღებად ონლაინ-სხდომაზე მოიწვიოს შესაბამისი კომისიების (საპროცედურო, საკონკურსო, სამუშაო ჯგუფი) წევრები ან უნივერსიტეტის ადმინისტრაციის პერსონალის წარმომადგენლები, რომლებიც შესაძლოა სამსახურებრივი საქმიანობით დაკავშირებული იყოს კონკურსანტის მიერ გასაჩივრებულ საკონკურსო პროცედურებთან.“

2. წინამდებარე დადგენილების მიხედვით **შევიდეს ცვლილებები** ,,ბსუ-ს აკადემიური პერსონალის შესარჩევი **ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 2 აგვისტოს N01-02/126 ბრძანებაში,** რათა გათვალისწინებული იქნეს ქვეყანაში შექმნილი ეპიდვითარება, კოვიდინფიცირებული (ან თვითიზოლაციაში მყოფი) კონკურსანტების თხოვნა, ხელი არ შეეშალოს მათ კონკურსში მონაწილეობას, ასევე დოკუმენტაციის მიმღები საპროცედურო კომისიის წევრების დაინფიცირების და კოვიდის გავრცელების პრევენციის საჭიროება.

3. წინამდებარე დადგენილება გადაეგზავნოს განსახილველად წარმომადგენლობით საბჭოს, ხოლო გასაცნობად - მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), იურიდიულ დეპარტამენტს, ფაკულტეტებს და საპროცედურო/საკონკურსო/სააპელაციო კომისიის წევრებს.

4. წინამდებარე დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**